№ 15

ხუთშაბათი, 22 იანვარი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | . . . 10— | 6 | . . . 6 — |
| 11 | . . . 9 50 | 5 | . . . 5 50 |
| 10 | . . . 8 75 | 4 | . . . 4 75 |
| 8 | . . . 8 — | 3 | . . . 3 50 |
| 9 | . . . 7 25 | 2 | . . . 2 75 |
| 7 | . . . 6 50 | 1 | . . . 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 15

ხუთშაბათი, 22 იანვარი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 22 იანვარს,

**ბენეფისი ეფ. ს. მესხისა**

პირველად ახალი პიესა

## ადრიენა ლეკუვრერ

პირველი აქტრისა საფრანგეთის თეატრისა

დრამა 5 მოქმედებათ, სკრიბისა და ლეგუვესი თარგ. დ. ს. მესხისა

ადრიენა ლეკუვრერის როლს შეასრულებს **ე. ს. მესხისა**

მიშონე, რეჟისსორისას—ბ-ნი კ. ს. მესხი

**II**

## არც აქეთ არც იქით

ვოდ. ერთ მოქმ. გადმ. ვ. გუნიას მიერ. ვ. აბაშიძის მონაწილეობით

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **კ. მესხი.**

მმართველობა კახეთის მევენახეთა საზოგადოებისა,

## „კ ა ხ ე თ ი“

ამით აცხადებს, რომ 22 იანვრიდგან საზოგადოება ღვინით ვაჭრობას დაიწყებს კუკიაში, მიხეილის ქუჩაზედ, კორალოვის სახლებში, **№ 24**, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ხოლო ძველი დუქანი, რომელიც ამავე ქუჩაზედ, ოჰანეზოვის სახლებში იყო, გაუქმებულ იქმნება.

(3—6.—1)

**მთავრობის განკარგულებანი**

დანიშნულ იქმნა ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს კანცელარიის მოხელე, კოლლეჟსკი რეგისტრატორი მაკალათია—ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის ოლქის სამმართველოს თარჯიმანად.

## ახალი ამბავი

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას აზრადა აქვს ჩვეულებრივი ბალი ამ საზოგადოების სასარგებლოდ თებერვალში გამართოს. დაწვრილებით ცნობებს ამ ბალის შესახებ მკითხველებს შემდეგ ვაუწყებთ.

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს სათავად აზნაურო თეატრში ქართულის დასის მიერ ნიჭიერის არტისტის ქალის ეფ. მესხის საბენეფისოდ წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ შესანიშნავს დრამას სკრიბისა და ლეგუვესას „ადრიენა ლეკუვრერს“. უმთავრეს როლს თვით მობენეფისე შეასრულებს. ამას გარდა, წარმოადგენენ დიდად სასაცილო ვოდევილს „არც აქეთ, არც იქით“. ადრიენა ლეკუვრერში მოთხრობილია საფრანგეთის გამოჩენილის არტისტის-ქალის ამბავი, ნამდვილის ცხოვრებიდგან არის აღებული და ფრანგულს სცენაზედ ერთ საუკეთესო პიესათაგან ითვლება. ამ პიესას ჩვენს სცენაზედ პირველადა სდგამენ.

*** უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ორ გერმანიის სწავლულს, მკურნალს ბელკუს მაინის ფრანკფურტიდგან და ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს ლემანს, სამის წლის განმავლობაში იკვლიონ კავკასიაში ლურსმული წარწერები. სწავლულთ მხოლოდ წარწერების სურათები უნდა გადაიღონ ან გადასწერონ და რუსეთის იმპერიის იქით არსად წაიღონ. ბელკუსა და ლემანს განზრახვა აქვთ ამ წლის 1 აპრილიდგან დაიწყონ მუშაობა და ამ აზრით კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ სწავლულთ ყველგან შესაფერი მფარველობა და დახმარება გაუწიონ, ვისიც ჯერ არს.

*** მთავარ-მართებლის საბჭომ ამ დღეებში დაამთავრა პოლიციის მოხელეთა გამრავლებისა და საერობო დარაჯთა შორის ცვლილების შემოღების შესახებ შემუშავებულ პროექტის განხილვა. საბჭომ პროექტი მოიწონა

*** მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი 7 თებერვალს აპირობს წასვლას ქ. პეტერბურგში.

*** კვირას, 25 იანვარს, ქალაქის გამგეობასა და საპოლიტეხნიკუმო კომისიას შეერთებული კრება ექმნებათ გამგეობის შენობის დარბაზში.

*** ჩვენ გვაუწყეს, რომ ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია სრულიად შესცვალოს სააქციზო წესრიგი და ამისათვის მიუწვევია პეტერბურგში აქციზის სამმართველოს უფროსი კავკასიაში ბ-ნი ლ. ლ. პერშკე.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას განზრახვა აქვს საგანგებო აგენტი გაჰგზავნოს ამერიკაში ადგილობრივ ნავთის მილებისა და მათის ხმარების საქმის შესასწავლად.

*** შაბათს, 24 იანვარს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთ, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის თავმჯდომარეობით კრება ექმნებათ. ამ კრებაზედ განიხილავენ იმას, თუ რა სახის საპენსიო კასსა უნდა იქმნას დაარსებული მოსამსახურეთათვის.

*** მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის ნება დართვით გამართული იქმნება საუბარი მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის შესახებ. პირველი საუბარი „ზამთარში ფუტკრების შენახვის“ შესახებ შაბათს, 24 იანვარს იქმნება, საღამოს 7 საათზედ, მუშტაიდს, კავკასიის სააბრეშუმო სადგურში. ამ საუბარს ყველას შეუძლიან დაესწროს.

*** 20 იანვრის ღამის 2 საათიდგან რკინის გზის მატარებლებმა ხელ-ახლად დაიწყეს სიარული ტფილისსა და ბათუმს შუა, რადგან რკინის გზის ლიანდაგი თოვლისაგან გაწმენდილ- გასუფთავებულ იქმნა. მატარებლები მიდი-მოდიან დანიშნულს დროზედ. ბორჯომის რკინის გზის შტოზედაც დაიწყეს მატარებლებმა სიარული, მხოლოდ ჭიათურისა და ტყიბულის რკინის გზის შტოებია ჯერ-ჯერობით ისევ შეკრული დიდის თოვლისა და ზვავების გამო.

*** 16 იანვარს მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა დაამტკიცა ქ. განჯის დროებითის სამხედრო სასამართლოს განაჩენი ყაზახის მაზრის ბოქაულის თავ. აბაშიძის მოკვლის შესახებ. განაჩენით დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი და მიესაჯათ: მამედ-სალახ მაშადი-ისა-ოღლისა და შაფი-ალახ-ვერდი-ოღლის ჩამორჩობა, ალეკპერ-ტაგი ოღლის—უვადოთ კატორგა, შაფი-ალლაჰვერდი-ოღლი და ქერბალაი-ბუდახ მაშადი-ისა-ოღლის—თითოს 15 წლით კატორგა, დანარჩენნი ბრალდებულნი სასამართლომ გაამართლა. ამ დღეებში გარდაეცემა განაჩენი სისრულეში მოსაყვანად.

## ფელეტონი

**მკაცრ სასჯელთა გავლენა**

(კავკასიაში ავაზაკობის წინააღმდეგ ერთის კანონმდებლობითის განკარგულების გამო).

(შემდეგი *)

**IV**

როგორც ძველ ბერძენ-რომაელთა საკანონ-მდებლო ნაშთებს, ისე ახალის დროის ზოგიერთ მწერლებს შიშის ჩანერგვა მიაჩნიათ სასჯელის ერთად-ერთ საფუძვლად და საგნად. ამ აზრს, რომელიც ჰბატონობდა საშუალო საუკუნოებში, იცავდნენ მწერლობაში მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეთა იმისთანა გამოჩენილნი კაცნი, როგორც: კლეინი, შნეიდერი, გმელინი, ფილანჯიერი და სხ, ამ სწავლის დედა-აზრი ის არის, რომ სასჯელის აღსრულებით უნდა გამოვიწვიოთ შიში, რათა იმითი შევიკავოთ და შევიმაგროთ როგორც დამნაშავე ახალ დანაშაულობათა ჩადენისაგან, აგრეთვე ყველა სხვანი, რომელთაც შეუძლიან საზოგადოების მშვიდობიანობა დაარღვიონ, კერძო ადამიანთა უფლებას ხელი შეახონ. რამდენადაც უფრო დიადია კანონი, რომელსაც ვინმე თავისს მოქმედებით არღვევს, მით უფრო უწყალო უნდა იყოს სასჯელი; სასჯელი მით უკეთესია, რამდენად უფრო საზიზღარი და საშინელია; მით უფრო სამართლიანია, რამდენადაც ადამიანთა მეტ რიცხვსა ჰგვრის შიშს. ამიტომაც არის, რომ ამ სისტემის მოქმედების დროს უფრო ხშირად შეხვდებით შემდეგ სასჯელებს: სხვა-და-სხვა სახის კვალიფიციურ სიკვდილით დასჯას, რომელიც საჯაროდ სრულდებოდა, მრავალნაირ დასჯას სხეულისას, საძრახ, შემარცხვენელ სასჯელებს და კიდევ ბევრ სხვას ამისს მზგავსსა.

ძნელია წარმოიდგინოს კაცმა, თუ რას სჩადიოდნენ, რა საშუალებათა ჰხმარობდნენ საშუალო საუკუნოებში, როდესაც ძალზედ დაშინებით ჰფიქრობდნენ დაეხსნათ საზოგადოება ავ-კაცობისაგან! აი, რა ყოვლად საზარელს, და შემაძრწუნებელს სურათს იმ დროისას გვიხატავს პროფ. კისტიაკოვსკი თავისს კურსში [1]): „სხვა-და-სხვა ქალაქში მოედნებზედ ამართული იყო მკვიდრად აგებული სარჩობელები, რომელთა ზედა რამდენიმე ათი დასჯილთა გვამი მუდამ ეკიდა. დროგამოშვებით ამართავდნენ კოცონებს, რომელთ შემდეგ ზოგიერთ ადგილას რჩებოდა აუარებელი დამწვარი სვეტები, როგორც ძეგლი სიკვდილით დასჯისა, აქ ურმის თვალზედ დაკრულ-შებოჭვილი იყო გამოფენილი; იქ მთელი წყობა თავ-ჩამოცმულ სარებისა ჩამწკრივებულიყო; ზოგგან მიჭედილი იყო სხვა-და-სხვა სხეულის ნაწილები სიკვდილით დასჯილთა, თუ სასჯელის ადგილი მოშორებული იყო დანაშაულობის ჩადენის ადგილს, მაშინ ამ ნაწილებს იქა ჰგზავნიდნენ გამოსაფენად. დიდი, შარა-გზებიც ხან-და-ხან იმავე სურათს წარმოადგენდა. საზოგადოებაში მუდამ შეგეძლოთ შეხვედროდით,—ხან დაღ-დასმულთ, ხან ყურმოჭრილებს, ხან უცხვიროებს, ხან უხელო, ან უფეხოებს და სხვათ ამ სახით დასჯილებს. რაც უფრო მძიმე იყო დანაშაულობა, მით უფრო უწყალოდ სტუქსავდნენ, მით უფრო დიდის ამბითა და ზეიმით ასრულებდნენ სასჯელს, ხალხს ჰკრეფდნენ ზარების რეკვით. თუ საჭიროდ დაინახავდნენ მიეცათ ხალხისათვის განსაკუთრებული გაკვეთილი, ჰკითხავდნენ სპეციალისტებს, ან სასამართლოებს, რა სამაგალითო, ესე იგი უსასტიკესი სიკვდილით სასჯელი იცითო. ერთის სიტყვით, შიშის მოგვრის თეორიას ძლიერ მტკიცედ და მხნედ იცავდნენ; ასე ეგონათ, ხალხი დანაშაულს ზურგს შეაქცევს თვალსაჩინო სწავლის საშუალებითაო“.

დღეს, როდესაც ხალხთა განათლებამ შესამჩნევად წინ წაიწია, ზნე-ჩვეულებანი გაუკეთესდა, გაკეთილშობილდა, შიშის მომგვრელ თეორიას თითქმის არავითარი ნიადაგი არა აქვს; იმისს პირვანდელ, პრიმიტიულ ფორმას ხომ ყოველი მნიშვნელობა და ავტორიტეტი დაეკარგა. დღეს იმ განათლებულ ერთა შორის, სადაც ჯერ კიდევ არ გადავარდნილა შიშის გამომწვეველ საშუალებათა ხმარება დამნაშავეთა მიმართ, მხოლოდ სიკვდილით დასჯა არის დარჩენილი და ისიც უბრალო და არა კვალიფიციურის სახით. მთელ საუკუნეთა გამოცდილებამ და ახალი დროის სისხლის სამართლის სტატისტიკურმა გამოკვლევამ ნათლად დაამტკიცა წინანდელ წესის არა-თუ უვარგისობა, არამედ დიდი მავნებლობაც; ყველანი დარწმუნდნენ, რომ უსასტიკესი სასჯელნიც-კი შიშს არა ჰბადებს, რომ შიშს არ ძალ-უძს შეაჩეროს კანონების დარღვევა იმათის მხრით, რომელთაც შეუძლიანთ ასეთი დარღვევა, ვინაიდგან შიში არ არის ნამდვილი საშუალება დანაშაულთა აღსაკვეთად.

დედა-აზრს შიშის გამოწვევისას მრისხანე სასჯელთა აღსრულებით ეხლა კრიმინალისტთა შესამჩნევი უმეტესობა სრულიად საფუძვლიანად უარ-ჰყოფს. მართლაც, სულ მცირედაც არის რომ ჩავაკვირდეთ ამ საგანს, ბევრს უცილობელს და ჭეშმარიტს დასამტკიცებელს საბუთს ვიპოვით იმ თეორიის წინააღმდეგ, რომელიც თხოულობს, რომ „დამნაშავეს, რაც შეიძლება, მეტად სასტიკად, შეუბრალებლად მოეპყარითო, ისეთი სასჯელი იხმარეთო, რომელიც უფრო ძლიერ ჰმოქმედებს ბრბოს გონებაზედ და რომელიც ამასთანავე საჯაროდ შესრულებულ უნდა იქმნასო.

ამ მოძღვრების მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ: ა) სასჯელი იმითი-კი არ უნდა იწვევდეს შიშს, რომ მკაცრი და სასტიკი იყოს; არამედ თავისის აუცილებლობით, გარდუვალობით, ესე იგი დამნაშავემ უნდა იცოდეს, რომ ამა თუ იმ უკანონო საქციელისათვის უსათუოდ სასჯელი მეწევაო; ბ) ულმობელი სასჯელი დამნაშავეს არამც თუ არ აძულებს ახალის დანაშაულის ჩადენას, პირიქით ამგვარი დამტუქსველი ღონისძიება ამრავლებს რეციდივისტების რიცხვს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, დანაშაულის განმეორებით ჩამდენთა რიცხვს; გ) ხალხი, ჰხედავს

*) იხ. „ივერია“ № 14.

[1]) იხ. „Курсъ угол. пр.,“ გვ. 171.

*** ამ ჟამად ხელთა გვაქვს მეტად საყურადღებო ცნობები ქალაქის უძრავ ქონების დაფასების შესახებ, საიდგანაც სჩანს, რომ მე-3 ნაწილის მამულების დაფასების თანხა 1,050,000 მან. ავიდა და ამ გვარად ქალაქს მარტო ამ ნაწილიდგან 7500 მან. შემოსავალი ექმნება.

*** ამ დღეებში გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი განკარგულება იმის შესახებ, რომ ყოველ ქალაქში ქალაქის საბჭოთა მიერ ერთი და იგივე გარდასახადი უნდა იქმნას დადებული ძაღლებზედაო. ამ განკარგულებით ქალაქის ყოველ გვარ ჯიშის ძაღლს უნდა დაედოს გარდასახადი, უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელთა ძაღლებისა და ჯაჭვზედ დაბმულთ გარდა. ამას გარდა გარდასახადისაგან განთავისუფლებულია ქალაქში დროებით ჩამოსულთა ძაღლები, თუ ერთს თვეზედ მეტს არ დარჩებიან ქალაქში, სამხედრო სანადირო კომანდათა და იმ ოფიცერთა, რომელნიც ჯარის საჭიროებისათვის ინახავენ ძაღლებს. ყოველს ძაღლზედ წელიწადში 3 მ. მეტი გარდასახადი არ უნდა დაედოს. ძაღლს საყელოზედ განსაკუთრებული ნიშანი უნდა ჰქონდეს მიმაგრებული, რომ გარდასახადი გარდახდილია. იმ ძაღლებს, რომელთაც ასეთი ნიშანი არ ექმნებათ, პოლიცია დაჰხოცავს.

*** საგუბერნიო ადმინისტრაციამ უკვე გამოარკვია, რომ ხელოსანთა დეპუტატები ერთის წლით უნდა იქმნენ ხოლმე არჩეულნიო. დეპუტატთა არჩევნები ამ დღეებში დაიწყება და საგუბერნიო მმართველობის წინადადებისამებრ უნდა დასრულდეს 10 დღის განმავლობაში.

*** ახლად არჩეული ხელოსანთა მოურავი კ. ა. სერობიანცი ბ-ნმა გუბერნატორმა არ დაამტკიცა თავისს თანამდებობაზედ, რადგან ბევრმა ხელოსანმა შეიტანა საჩივარი მოურავის არჩევანის უკანონობის შესახებ. ხელოსანთა საჩივრებს განიხილავს ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულო.

*** გაზ. „ახ. მიმ“-ს სწერენ სიღნაღის მაზრიდგან, რომ ამას წინად მაჩხაანისა და ფანიანის მცხოვრებელთ და ადგილობრივ დარაჯს შეტაკება მოუხდათო. გაზეთის სიტყვით, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამიერ-კავკასიაში ყოფნის დროს ამ სოფლების გლეხებმა აუწყეს მინისტრს, რომ სახელმწიფო სანადელო მიწების სარგებლობის ნებას არ გვაძლევენო. მინისტრმა ყურადღება მიაქცია გლეხების თხოვნას და 1894 წელს განკარგულება მოახდინა, რომ გლეხებს ნება მიეცეთ ისევე ისარგებლონ სანადელო მიწებით, როგორც აქამდის სარგებლობდნენ, ვიდრე ამის შესახებ ახალი განკარგულება არ იქმნება მომხდარიო. ამ განკარგულების შინაარსი გლეხებსაც შეატყობინეს. ამის მიუხედავად ტყის უფროსმა ბრძანება მიიღო, რომ სოფ. მაჩხაანისა და ფანიანის გლეხებს ჩამოართვით 50 დეს. სახელმწიფო მიწა, რომელიც დიდი ხანია გლეხების ხელშია და რომელზედაც ტყე არის გაშენებული. ამის გამო გლეხებმა, რომელნიც აქამდის ტყეს ძალიან უვლიდნენ, გადასწყვიტეს სრულიად ასჩეხონ. გლეხები კიდეც შეუდგნენ ამ გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანას, რომ ტყის დარაჯები გაჩნდნენ და გლეხებს აუკრძალეს ტყის აჩეხა. გლეხებმა ყურადღება არ მიაქციეს დარაჯების ბრძანებას და შეტაკება მოუვიდათ; ეხლა ეს გლეხები სამართალშია მიცემულნი. თავის მხრივ გლეხებმა საჩივარი მიართვეს კავკასიის მთავარ-მართებელს გენერალ-ადიუტანტს თავ. გ. ს. გოლიცინს და მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს.

*** სოფელ ველისციხიდგანა სწერენ იმავე გაზეთს: „სირაჯების ბოროტ-მოქმედებას ბოლო არ მოეღო. მათ მსხვერპლად გამხდარან უმთავრესად გლეხები, რომელნიც უიმისოდაც ყოველის მხრით შევიწროვებულნი არიან. ასეთ გაჭირვებაში დიდ დახმარებას აღმოუჩენენ ადგილობრივ მცხოვრებელს სხვა და სხვა ამხანაგობანი, რომელთა შემწეობით შესაძლებელი იქმნებოდა სირაჯების თავიდგან აცილება. ამ ჟამად ადგილობრივი მევენახე ბ-ნი ე. გ. შეუდგა მევენახეთა ამხანაგობის შედგენას, რომლის წევრობა გლეხებსაც შეეძლებათ“.

*** სოფ. განაღიმთა, (კავკავის მაზრა). ძარცვა-გლეჯა არ ახალია აქეთ, ძველია. ამას წინად ერთი აქ მცხოვრები ცომართოვი მიდიოდა ბარში სიმინდის მოსატანად. დახვდნენ ავაზაკები გზაში და ხარებს ართმევდნენ. ცომართოვი გაუძალიანდა, ავაზაკებმა დაახალეს თოფი, ბარძაყი მიამტვრიეს და ხარებიც გარეკეს. იმავე ღამეს დახვდნენ სანების მცხოვრებლებს, წაართვეს სამი ცხენი და ოთხი ხარი და გაუდგნენ გზას. რითი უნდა გასცენ საბრალო ოსებმა პასუხი, როცა ავაზაკები ბერდანებით არიან აღჭურვილნი.

*** ქ. ერევანი. 14 იანვარს, ქართველთა უბედნიერესს დღეს, აქაურს საკრებულო ტაძარში ქართულს ენაზედ იქმნა გარდახდილი მთელი წირვა პარაკლისითურთ. მწირველი ბძანდებოდა დეკანოზი მ. ისააკ იორდანაშვილი. ჰგალობდნენ კარბელაანთ კილოზედ. მღ. მ. დიმ. ვარდიაშვილი, ან. ივ—ასული ზედგინიძისა, სოფ. ნ—ასული ვარდიაშვილისა, ს. ნ—ძე კასრაძე, ივ. ნ—ძე ზედგინიძე, ქრ. ზ—ძე ჯიოშვილი და ვლ. ნ—ძე კასრაძე. გალობამ საუცხოვოდ ჩაიარა და აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. დიდის სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ ამბავს, რომ ახალ ბაიაზეთის რაზმის უფროსის ბრძანებით, რაზმში მყოფი 150 მდე ქართველი ჯარის-კაცი დაესწრო წირვას. ვერ აგიწერთ მათს აღტაცებასა და სიხარულს. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ იქნება არცერთს მათგანს ისეთის სასოებით არასოდეს არ ელოცნოს, როგორც ამ დღეს. დიახ, მოსაწონი და სამაგალითოა ბ-ნის რაზმის უფროსის ასეთი განკარგულება. ეს მეორე წელია, რომ ერევნის ქართველი საზოგადოება ქართულს წირვასა და ქართულს გალობას ისმენს ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს დღეს.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ ანგარიში იმ სადილისა, რომელიც სტუდენტთა მიერ იქმნა გამართული 12 იანვარს. ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ შეკრებილ იქმნა 230 მან. 25 კაპ., ბ-ნმა ველიჩკომ შემოსწირა 50 მან., ს. ბ. ხალათოვმა—7 მან. 50 კაპ., სადილს გადარჩა—36 მან. 59 კაპ., გამგეთაგან—1 მან, 41 კაპ., სულ 325 მან. 75 კაპ., ამას გარდა ბ-ნმა დ. ზ. სარაჯიშვილმა არ აიღო სასმელისა 15მ. და 57 კაპ., რომელიც სადილს გადარჩენილს ჯამს მიემატა. კავკასიის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ გაგზავნილ იქმნა მოსკოვისაში—115 მან., პეტერბურგისაში—60 მან., ნოვოროსიისაში—50 მან., კიევისაში—50 მან., ხარკოვისაში—50 მან., ფულის გასაგზავნად დაიხარჯა 75 კაპ. და სულ 325 მან. 75 კაპ. ამას გარდა სადილის გამგენი დიდს მადლობას უცხადებენ ტფილისის „კრუჟოკის“ მამასახლისთ დარბაზის მუქთად დათმობისათვის და გაზ. „კავკასისა“, „ახ. მიმოხილვისა“, „ივერიისა“ და „მშაკის“ რედაქციებს განცხადებათა უფასოდ დაბეჭდვისათვის.

*** 20 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, მე-9 ნაწილის ბოქაულს შუშის მცხოვრებელმა ხჩატურ კოჩაროვმა გამოუცხადა, რომ ჩემის სახლიდგან, რომელიც ნიკოლოზის ქუჩაზეა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ორი კაცის პალტო მომპარა, 50 მან. ღირებულიო. პოლიციამ დამნაშავეები ერევნის მცხოვრებელი აბბას-სადიხ-ოღლი და სპარსეთის ქვეშევრდომი მამად-ბეკ-სანტარ-ბეკი შეიპყრო, რომელთაც მხოლოდ ერთი პალტო აღმოაჩნდათ.

*** არ იქმნა, ქალაქის ქუჩების განათებას არაფერი ეშველა და ბოლო არ მოეღო იჯარადარის თავ-გასულობას. ისე დღე არ გავა, რომ რომელმამე გაზეთმა ან ქალაქის მცხოვრებელმა არ განაცხადოს, რომ ქალაქის იჯარადარი ყურადღებას არ აქცევს ამა და ამ ქუჩას და ფარნებს არ ანთებსო. ქალაქის მე-8 ნაწილის ბოქაულმა აცნობა, მაგალითად, პოლიცმეისტერს, რომ ლაზარევის, კონსტანტინეპოლის, პეტრე-პავლეს ქუჩებსა და კახეთის მოედნებზედ ღამის 2 საათიდგან ფარნებს არ უკიდია და საერთოდ ავლაბარში ფარნებს ან სულ არ უკიდებენ, ან თუ უკიდებენ შუაღამემდე, ისიც ნახევრადაო. ბევრგან ფარნები დამტვრეულია. ქალაქის მეფარნეები აცხადებენ, რომ თითოს 50 ფარანი გვაბარია და იმათ გასანათებლად სულ 25 გირვანქა ნავთი გვეძლევაო. ასე იქცევა ქალაქის იჯარადარი და გამგეობა-კი არხეინად განისვენებს და ყურადღებას არ აქცევს იმის თავ-გასულობას.

*** გაზ. „სასულიერო მოამბე“ სწერს, ახალქალაქის მაზრის უფროსი თავ. გ. ა. თარხნიშვილი და პროვიზორი ილია ალხაზიშვილი ახალქალაქის საეკკლესიო-სამრევლო სკოლის მზრუნველებად იქმნენ დამტკიცებულიო.

## პატარა საუბარი

უკვე გაზეთებში გამოცხადდა ამას წინად, რომ აქაურს მთავრობას დაუნიშნავს რევიზია, რათა გამოძიებულ იქმნას ქალაქის მილის წყლის საქმე. არ იქნება ურიგო, რომ ეს სურვილი აუსრულდეს მთავრობასა და მით ათას ნაირ მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღოს. ეს ჩვენი მილის წყალი სწორედ თ. გ. თუმანოვსა ჰგავს: ხან ჰოა და ხან არა. რამდენი ხანია ეს მილები დაწყობილია, მანძილიც ავჭალიდამ ტფილისამდე მაგოდენად არაფერია, მაგრამ წყალმა-კი გზა ვერ დაისწავლა ტფილისამდე, ხან მოდის და ხან სადღაც დაიკარგება ხოლმე. დრო კი კარგა ბლომად ჰქონდა, რომ წყალი მილს შესჩვეოდა და გზა გაეზეპირებინა.

იმედია ეხლა რევიზია გამოაჩენს, ეს წყალი რად არ ემორჩილება „კულტუროსანთა“ საბჭოს და რა მიზეზია მისის თავ-გასულობისა. ეს ინჟენერები ბევრი გვყავსო, იძახიან, და თუ მართლა ესეა, სად არიან ის კურთხეულ-დალოცვილები? ნუთუ, როგორც თ. გ. თუმანოვი ლოგი-

---

რა ხშირად მტარვალურ სცენებს, ეჩვევა სასჯელთა სიმკაცრეს, იგი ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია და, მაშასადამე, ეს ტანჯვა-წვალება დამნაშავეთა თან-და-თან ჰკარგავს შიშის მომგვრელ ზედ-მოქმედებას; დ) ეს ზარ-დამცემი სანახავი ზნეობრივ ჰრყვნის ბრბოს და, დასასრულ, ე) ამ თეორიის თანახმად, დამნაშავეს სჯიან არა უკვე ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისათვის, არამედ იმ დანაშაულობათათვის, რომელიც მომავალში სხვებს შეუძლიანთ ჩაიდინონ, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს შემდეგს ნიშნავს: სასჯელს საფუძვლად უდევს იმისთანა მოსაზრებანი, რომელსაც საერთო არა აქვს-რა დამნაშავის ბრალთან, და ეს ხომ დიდი უსამართლობაა დამნაშავის მიმართ; იგი ხომ ნივთი არ არის, ადამიანია, რომლის პიროვნებას უბრალოდ ვერავინ შეეხება. ასეთ მოპყრობას დამნაშავის მიმართ კარგად ახასიათებს, ჩვენის ფიქრით, ერთის ინგლისელის მოსამართლის პასუხი, რომელიც ეხლა თითქმის იურიდიულ ანდაზად გარდაიქცა. ერთხელ ინგლისელ მოსამართლეს Burnet-ს ქურდმა, რომელსაც ცხენის მოპარვისათვის სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტეს, მოახსენა, რომ ეს სასჯელი ერთობ მკაცრია და არ შეეფერება ჩემს ბრალსაო. მოსამართლემ უპასუხა: ჩამოღჩობილ იქმნები არა იმიტორ, რომ შენ ეგ ცხენი მოიპარე, არამედ იმიტომ, რომ სხვებმა სხვა ცხენები არ მოიპარონო“ [1]).

შიშის მომგვრელ სასჯელთაგან, როგორც ვთქვით, ჩვენ დროს დარჩა ზოგიერთ სახელმწიფოში მხოლოდ სიკვდილით დასჯა. სასჯელთა სისტემაში, რომელიც ჰმოქმედებს რუსეთში, სიკვდილით დასჯას შესამჩნევი ადგილი უჭირავს: რუსულ კანონთა კრებულში არა იშვიათია იმისთანა შემთხვევა, რომ ასეთი სასჯელი არის დაკანონებული, სამხედრო კანონების შესახებ-კი რა ითქმის იმის მეტი, რომ მათ ჯერ კიევ ძლიერ ატყვია ძველის იურიდიულის წეს-წყობილების კვალი.

სპეციალურ ლიტერატურაში მწერალნი, რომელთაც უწერიათ სიკვდილით დასჯის შესახებ, ორ ბანაკად განიყოფებიან: ერთნი არიან მოწინააღმდეგენი ამ სასჯელისა და მეორენი, თუმც შედარებით მცირეა ამათი რიცხვი,— მომხრენი ანუ დამცველნი განუსაზღვრელად და განსაზღვრით, ერთმხრივად. რაც უფრო წინ მიდის კაცობრიობა, ამ უკანასკნელთა რიცხვიც თანდათან მცირდება და, მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ ამ ახლო მომავალში ამ საგნის შესახებ აზრთა სხვა და სხვაობა გაჰქრეს. ის მწერალი, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნეში პირველად ამოიღო ხმა და პრინციპიალურად უარ-ჰყო ეს სასჯელი,— გახლდათ შესანიშნავი იტალიელი ჩეზარე ბეკკარია. აზრი, რომელიც ამ მეცნიერმა წარმოსთქვა თავისს ერთს შესანიშნავ თხზულებაში, იმ დროს სულ ახალი ხილი იყო, მეტად უცნაური და მრავალთათვის გაუგებარი. მაგრამ გავიდა დრო და მისმა მოძღვრებამ თავისი ნაყოფი გამოიღო ცხოვრებასა და კანონმდებლობაში. ბეკკარიას შემდეგ გაჩნდა ამ სასჯელთა მომხრე-მოწინააღმდეგეთა დასი. ამის შესახებ საბუთები pro და contra მოკლედ ასე დაისკვნება:

ა) სიკვდილით დასჯასაო, ამბობენ მომხრენი ამ სასჯელისა, შიშის მომგვრელი ძალა აქვს: თუ კანონი ემუქრება ადამიანს,—სიკვდილი მოგელის ამა-და-ამ ავკაცობისათვისაო, შეუძლებელია, რომ მუქარამ არ გასჭრას, ესე იგი არ შეიკავოს იგი დანაშაულის ჩადენისაგან; ბ) სიკვდილით დასჯის განდევნას სისხლის სამართლის კანონების კრებულიდგან შედეგად მოსდევს დანაშაულობათა გამრავლებაო. ზოგნი ამ აზრს სტატისტიკურის ციფირებით ასაბუთებენ; გ) „მძიმე დამნაშავე, ამბობს ცნობილი წარმომადგენელი ანტროპოლოგიურის სკოლისა გაროფალო, საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად მოკლებულ უნდა იყოს საშუალებას მისის ხელ-ახლად ჩადენისას. საზოგადო მშვიდობიანობის უკეთესს თავდებად ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმისთანა სასჯელი, როგორც სიკვდილით დასჯაა. სამუდამოდ დაპატიმრება ვერ უზრუნველ ჰყოფს საკმაოდ საზოგადოებას დამნაშავესაგან, რადგან იმას შეიძლება აპატიონ დანაშაული, შეიძლება გაიქცეს, ან განთავისუფლებულ იქმნას საპყრობილედგან ხალხის ამბოხებისა და არეულობის დროს“; დ) ზოგიერთ მძიმე დანაშაულს შეჰფერის მხოლოდ სიკვდილით დასჯა; ამას ითხოვს სამართლიანობა; ამ სასჯელის მაგიერობის გაწევა არაფერს სხვას არ შეუძლიან. მაგ., მკვლელობისათვის, კანტის აზრით, საჭიროა უეჭველად, რომ მკვლელსაც სიცოცხლე მოესპოს, რადგან ამისთანა ბოროტ-მოქმედებისათვის საკმარის სამაგიეროს მხოლოდ ეს სასჯელი შეიცავს; ე) ზოგს შემთხვევაშიო, ამტკიცებენ აგრეთვე ამ ჯგუფის მწერლები, იმდენად დიდია ბოროტ-მოქმედება, რომ მისგან გამოწვეული გრძნობა მაგიერის გარდახდისა დაშავებულს იმდენად ძლიერი აქვს, რომ მხოლოდ სიკვდილით დასჯას დამნაშავისას შეუძლია დააკმაყოფილოს ეს გრძნობა; თუ არ ეს სასჯელი, დაშავებული თვით იხმარებს ძალას, თვით გაუსწორდება დამნაშავეს; 3) ზოგიერთ დამნაშავის ზნეობის გასწორება შეუძლებელია და ამიტომ იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ისე ჰფიქრობს, მაგ., ანთროპოლოგიური სკოლა. ბევრი სხვა მოსაზრებაც მოჰყავთ ამ სასჯელის დასაცველად და დასაკანონებლად, მაგრამ იმათ აღსანიშნავად შეჩერება არა ჰღირს, რათა ყოველი ეს მოსაზრება ერთობ სუსტია თავისის დამამტკიცებელის ძალით. მაგრამ ზემოდ ჩამოთვლილი საბუთებიც რომ გავზომოთ სიგრძე-სიგანით, აღმოჩნდება, რომ სარწმუნო არც ერთი მათგანი არ არის, იმათი უსაფუძვლობა და მოკლებულობა ჭეშმარიტ ლოგიკურ მსჯელობას ერთობ თვალსაჩინოა და აშკარა.

გრ. გველესიანი

(შემდეგი იქნება)

[1]) იხ. ტაგანცევის: „Лекціи по рус. угол. пр. ნაწ. III, გვ. 1163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კას გასტირის „ლოლიკავ, სადა ხარო, ჩვენც უნდა ვიძახოთ: ინჟენერებო, სადა ბრძანდებით? ამასა ჰქვიან—სახელია და სახრავი-კი არაო. ჩვენი ურგები ქოთანი ქვასაო, მაწონი ძაღლსაო, კარგად უთქვამს, ვისაც უთქვამს.

ყველაფერს გვეტყვის დანიშნული რევიზია, მაგრამ მებრალებიან რევიზორნი. ამბობენ, რომ დღეს აქამომდე ქალაქის საბჭოს არა აქვს თურმე არც საფინანსო, არც სატეხნიკო ანგარიში ამ უშველებელის საქმისა, რომელსაც აუარებელი ფული ჩააყარეს, შეალიეს და საქმე მაინც თავისს რიგზე და ფეხზე ვერ დააყენეს. თუ ეს მართალია, რევიზორებს კარგა ბლომა გარჯა და დრო მოუნდებათ, რომ ამ საქმეს თავი და ბოლო გაუგონ, ჭეშმარიტება აღმოაჩინონ. საკვირველია, რომ ესე სამწუხარო არ იყოს!.. ეს რამდენი წელიწადია, რამდენი ხანია, რაც ქალაქისათვის მილის წყალი გამოიყვანეს და „კულტუროსანთა“ საბჭოს არ მოუკითხნია არც საფინანსო და არც სატეხნიკო ანგარიში. არც ერთი ეს ანგარიში არა აქვთ თურმე დღეს აქამომდე, არც პირველ ხანებისა, არც შემდეგისა. როგორ მოგწონთ ასეთი გულმტკივნეული პატრონობა ქალაქის ქონებისა! როგორ მოგწონთ ასეთი მამობრივი ყურადღება!

ბედი თქვენი, რომ თ. გ. თუმანოვი არ დასკუპდა ქალაქის მოურავის ტახტზე, თორემ ის გიჩვენებდათ, როგორ უნდა კუდით ქვის სროლა. ვაი რომ გული არ შერჩა, როცა საომრად გაიყვანეს ბ-ნ ევანგულოვთან და მელასავით კუდ ამოძუებული გაიპარა ომიდამ ისე ჩუმად, რომ თაგვიც ვერ შეძვრებოდა ასე ფეხაკრებით თავისს სოროში, თორემ.. რა თორემ? განა მართლა ვაჟკაცობამ ულალატა! ნურას უკაცრაოდ: ჯამაგირი მოურავისა ითაკილა. ხმოსნობა ირჩია, რადგანაც ხმოსანს ჯამაგირი არა აქვს. *) ჯამაგირი ხომ ფულია და ფული, ხომ მოგეხსენებათ, ჭუჭყია და ამ ჭუჭყს აბა როგორ მიეკარებოდა თ. გ. თუმანოვის უანგარო ხელი. თქვენგან არ მიკვირს!.. მართალია ჯერ კიდევ წინად, მინამ ბ-ნ ევანგულოვს დაინახავდა, საომრად გამოსულს, გული გულის ადგილას ჰქონდა და, როგორც მისი მანიფესტი გვარწმუნებს, მადიანადაც ილოკდა თითს ქალაქის ჯამაგირიანს მოურავობას რომ შორიდგან ეტრფიალებოდა, როგორც კატა ძეხვს, მაგრამ ეს რა ანგარიშში ჩასაგდებია. განა ცოტას იხვეწება ეს წვრილმანი ანგარიშები დავივიწყოთო. ჩვენც დავივიწყოთ. ტყუილად-კი არ გვეკითხებოდა თავისის გაზეთის გუშინდელ ნომერში: „თ. გ. თუმანოვს და სამს ქართველს, რომელიც ეხლა საბჭოში არიან, რომ ხმოსნობაზე უარი ეთქვათ, რას მოიგებდნენ ქართველებიო“. ასი თ. გ. თუმანოვიც რომ იჯდეს საბჭოში, არც მაშინ მოვიგებდით რასმე ქართველები, მაგრამ საბჭოს-კი იქნება მოეგო რამ: ერთით უხეირო ხმოსანი ხომ ნაკლები ეყოლებოდა, სხვა არა იყოს-რა. ახ, რა უბედურებაა ჩვენს თავს, რომ ქალაქის მოურავობას ასეთი ჭუჭყი აცხია: ჯამაგირი აქვს, თორემ დღეს თ. გ. თუმანოვი არ ითაკილებდა და მოურავად დაგვიბძანდებოდა. ხუმრობაა, რა „მელიქი“ ეყოლებოდა ჩვენს ქალაქს!.. მე რომ კულტუროსნებისა ვიყო, მოურავს ჯამაგირს მოვუკვეთავდი, მაგ ჭუჭყს მოვაშორებდი, ოღონდ თ. გ. თუმანოვი „მელიქად“ გამოჭიმული გვყოლოდა. „მელიქი“ და რა „მელიქი!“ მაშინ არამც თუ მილის წყალი დაგვაკლდებოდა, იმოდენა წყალს მოადენდა, რომ მთელი ქალაქი წყალ-წაღებული იქნებოდა. მაგრამ ამბობენ, კულტუროსნებს არ უნდათ ჯამაგირის მოკვეთაო. პირიქით მომატებაც უნდათ, რომ თ. გ. თუმანოვი აღარ მიეკაროს ქალაქის მოურავობას. ამით ჰსურთ თურმე ჯავრი მისი ამოიყარონ, რადგანაც იმან ასე გააუპატიურა, გააბიაბრუა ფული,—ეს დღევანდელი ღმერთი და სალოცავი კულტუროსნებისა.

*) იხ. „Новое Обозрѣніе“ № 4827.

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება

20 იანვარი

ამ კრებაზედ წაკითხულ იქმნა სამი მოხსენება თამბაქოს მოყვანის შესახებ. საზოგადოების წევრმა ბ-ნმა ფიგუროვსკიმ საზოგადოებას წარუდგინა სამეტეოროლოგიო გამოკვლევა ათის წლის განმავლობაში სინოპსა, ტრაპიზონსა, შავის ზღვის ნაპირებზედ, კახეთში, სოხუმისა და ბათუმის ოლქში. ეს ცნობები, რა თქმა უნდა, მეტად საინტერესო უნდა იყოს თამბაქოს პლანტაციების პატრონებისათვის. შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება თავ. ნაკაშიძისა შესახებ თამბაქოს მოყვანის საქმისა გურიაში. ამ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ თამბაქოს მოყვანა გურიაში დაუწყიათ 1864 წელს და ეს საქმე სახეირო ყოფილა 1887 წლამდე, ხოლო ეხლა-კი ძლიერ დაეცაო. ბ-ნის ს. ნ. ტიმოფეევის მოხსენებიდგანა სჩანს, რომ თამბაქოს მოყვანის საქმე ართვინის ოლქში ძლიერ არის თურმე დაქვეითებული.

ყველანი-კი იმას ამბობენ, რომ მიზეზები თამბაქოს მოყვანის საქმის დაქვეითებისა შემდეგია: განუვითარებელი კულტურა, კარგის თესლის უქონლობა და უფროს ერთი მიზეზი-კი ის არის, რომ აწინდელ სააქციზო წეს-რიგის წყალობით, თამბაქოს პლანტაციების პატრონები ხელში ჩაუვარდათ თამბაქოს ქარხნების პატრონებს.

საყურადღებო იყო მოხსენება, წაკითხული კრებაზედ, თამბაქოს ქარხნის პატრონის ენფიანჯიანცის მოქმედების შესახებ. ბ-ნს ენფიანჯიანცს უთხოვნია მთავრობისათვის 50 დესეტინა ადგილი ლაგოდეხში, რომ იქ სანიმუშო პლანტაციები გაეშენებინა თამბაქოსი. მთავრობამ მისცა ეს ადგილი და რა გამოვიდა? ბ-ნს ენფიანჯიანცს გაუშენებია პლანტაცია მხოლოდ 5 დესეტინა ადგილზე და დანარჩენი 45 დესეტინა ადგილზე გაუშენებია ბაღი. თამბაქოს საყიდლად-კი ბ-ნი ენფიანჯიანცი დადიოდა მთელს ლაგოდეხში და ყველას იმასეუბნებოდა, თუ იმ ფასად არ მომყიდით თამბაქოს, როგორც მე მინდა, უექველად დაგილპებათო. ამგვარად ბ-ნი ენფიანჯიანცი ჩალის ფასად ყიდულობდა თამბაქოს.

დასასრულ სამეურნეო კრებამ დაადგინა: მივმართოთ სამინისტროს და ვთხოვოთ ნება მოგვცეს დავაარსოთ კავკასიაში თამბაქოს სამხანაგო საწყობები და გარდა ამისა დაარსებულ იქმნას კურსები თამბაქოს მოყვანის შესწავლისათვის და დასასრულ სთხოვენ სამინისტროს, რომ შეცვლილ იქმნას ეხლანდელი წეს-რიგი აქციზისა.

## წერილი ქუთაისიდგან

18 იანვარი

12 იანვარს აქაურის კრუჟოკის დარბაზში კნ. მ. არჩილის ასულმა წერეთლისამ სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ გაჰმართა ბალი, რომელსაც მრავალი საზოგადოება დაესწრო. ბალმა მხიარულად ჩაიარა. მოცეკვავე საზოგადოება დილის ხუთ საათამდის არ დაშლილა. შემოსავალი ოთხას მანეთს აღემატება.

13 იანვარს ადგილობრივის სამეურნეო საზოგადოების განყოფილების წევრთა კრება მოხდა. კრებას მოხსენდა, რომ ბ-ნი სტ. ხოჯაევი თავს ანებებს სამეურნეო სკოლის მზრუნველობასაო. ამას წინად საზოგადოებამ დაადგინა ეთხოვა ხოჯაევისათვის დარჩენილიყო ისევ მზრუნველად და ამ აზრით დეპუტაციაც გაუგზავნა, მაგრამ ბ-ნმა ხოჯაევმა ხელმეორედ უარი განაცხადა. მის მაგიერ ამორჩეულ იქმნა ბ-ნი დ. ნ. ბაქრაძე. ამასთანავე საზოგადოებამ დაადგინა, ბ-ნ ხოჯაევს მადლობა გამოეცხადოს საზოგადოების მხრივ დიდის შრომისა და ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღვის ამ ნორჩის სკოლის წინაშე. იმედი გვაქვს, რომ ახალი მზრუნველი მძიმე ტვირთს ბეჯითად მოჰკიდებს ხელს და რიგიანად წაიყვანს. ამ თანაგრძნობის ღირსს სასწავლებელს დაარსებიდგანვე ვერ ეღირსა რიგიანი უფროსი, რომ მტკიცე ნიადაგზედ დაეყენებინა სკოლის მდგომარეობა. სკოლას უფროსები ხშირ-ხშირად ეცვლებოდა: თითქმის არც ერთი უფროსი წელიწადზედ მეტს არ დარჩენილა აქ: ზოგი მათგანი მოდიოდა ამ სკოლაში იმ აზრით, რომ ქუთაისის ჰაერი საუცხოვოა და გავიკურნებიო, ზოგი ვერ შეეთვისა ადგილობრივს გარემოებას და მალე მიდიოდა სხვაგან. იმედია, ახალი მზრუნველი მიაქცევს ყურადღებას ამ მოვლენას და ეცდება მოუნახოს ისეთი უფროსი, რომელიც საქმის სიყვარულით იქნება გამსჭვალული და არა სხვა გარეშე სურვილებით. მოვაგონებთ ბ-ნ მზრუნველს ხალხურ ანდაზას, რომ „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უფრო კარგად იჭერს“.

14 იანვარს აქაურ წმ. ნინოს ქალების სასწავლებელში სალიტერატურო სამუსიკო დილა იყო გამართული. სასწავლებლის ინსპექტორმა ბ-ნმა კალიანკოვსკიმ წაიკითხა წლიური ანგარიში სკოლის მდგომარეობისა. შემდეგ მოსწავლე ქალებმა დაიწყეს კითხვა ლექსებისა, გალობა და როიალზე დაკვრა. ორმა პატარა ქალმა ქართული ლექსებიც წაიკითხა: ნაკაშიძის ქალმა აკაკის ლექსი „ჩანგური“ და გიორგაძის ქალმა—რ. ერისთვის „მოწვევა სწავლაზე“. მშვენივრად წაიკითხა რუსულად სურგულაძის ქალმა ნადსონის ლექსი „იუდა“.

წელს აქ მეტის-მეტად სუსხიანი ზამთარია: ასეთი ცივი და ხანგრძლივი ზამთარი აქ არავის არ ახსოვს. ამბობენ, რომ ნაზი მცენარეები შავის ზღვის პირად სამუდამოდ დაიღუპებაო. სოფლელი ხალხი დიდს განსაცდელშია. წისქვილის წყლები მთელს ქუთაისის გუბერნიაში ყველგან გაყინულა; წისქვილები აღარა ჰმოქმედებს. შეშის გამოტანა ტყიდგან შეუძლებელი საქმეა, ისეთი თოვლი და ყინვებია. ხალხი კი ამისთანა ზამთრისთვის მომზადებული არ იყო. მთელი სამეგრელო და გურია მოხარშულის სიმინდით იკვებება თურმე.

ზიარელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ხოვლე**, (გორის მაზრა). ბევრი სოფელი დამივლია, ბევრი სკოლები მინახავს და სკოლებთან წიგნთ-საცავები და აგრეთი ღარიბი წიგნთ-საცავი, როგორიც ს. ხოვლეშია, არსად არ შემხვედრია, თუმცა რამდენადაც ღარიბია წიგნთ-საცავი, იმდენად ბევრი მსურველი ჰყავს კითხვისა. აბა ისეთი რა წიგნთ საცავი უნდა იყოს, რომ ათის და თორმეტის წლის ბავშვმა სრულიად გადიკითხოს და შემდეგ ისევ ახლად შეუდგნენ კითხვას. ასეთნი არიან მოსწავლეები ხოვლეს სკოლისა: ედიშერაშვილი, ხუციშვილი და სხვანი. ბევრსა სცდილობენ ამ წიგნთ-საცავის მმართველნი სკოლის მასწავლებლები და-ძმა ქეთევან და ზაქარია ჯავახიშვილები წიგნთ-საცავის გაუმჯობესებისათვის და ბევრი წერილებითაც მიმართეს გამომცემლებს, მაგრამ ყური არავინ გაიბერტყა. კიდრე წიგნთ-საცავს დააარსებენ, ერთი თავ-პირის მტვრევა და აყალ-მაყალია. დააარსებენ წიგნთ-საცავს, შეიძენენ წიგნებს და ერთი ექვსის ან ხუთის თვის შემდეგ ნახავთ, რომ აღარც წიგნების მკითხველები სჩანან და აღარც მათ მმართველებს გაეგებათ თავიანთი ანგარიში: ვის წაუღია ესა და ეს წიგნი ან გაზეთი და ვის არა!!. წარმოიდგინეთ, რომ ხოვლეს წიგნთ-საცავის მმართველნი სულ სხვა ხერხით აყვარებენ მდაბიო ხალხს წიგნების კითხვას. ჯერ, კიდრე მასწავლებლები დაინიშნებოდნენ, ისინი ყოველ კვირა-უქმე დღეობით შეჰკრებდნენ ხალხს რომელსამე კალოსა, ან ბანზედ, ჩაუსხდებოდნენ შუაში და რიგ-რიგით უკითხავდნენ და უხსნიდნენ წაკითხულს. ამით ხალხს დიდი წყურვილი აღუძრეს წიგნების კითხვისა და ბევრჯელ თვით ხალხი მიეჩქარებოდა ხოლმე სახლში და სთხოვდნენ: „შენი ჭირიმე, ბატონო, ან თქვენ წაგვიკითხეთ და ან ჩვენ მოგვეცი და ჩვენ წავიკითხავთო!“ ასე და ამ რიგად შეაჩვიეს წიგნები და დიდის სიამოვნებით კითხულობენ. ეხლა დღე არ გავა, რომ იმათ სახლში ათი-თხუთმეტი და მეტი დიდი და პატარა წიგნის გამოსაცვლელად არ მივიდეს.

—მასწავლებელო, აი „შალვას თავგადასავალი“ წავიკითხე და აი თამროკოს რომ წიგნი უხმძეთ ამას წინად, ის მომეცით“.

—აი ყოჩაღ, ჩემო გოგო, ისმის ალერსიანი პასუხი: აბა, ეხლა მიამბე რა წაიკითხე.

ბავშვიც მოკლედ უამბობს წაკითხულს.

უნდა ჰნახოთ, რა სიხარულით მორბის პაწია მოსწავლე წიგნ-დაბღუჯული. ამისთანა სასიამოვნო ამბავს თითქმის ყოველ დღე შეხვდებით. 6 იანვარს წირვის შემდეგ ზაქარია ჯავახიშვილმა ხალხს წაუკითხა მაჩხანელის „ძმური სიტყვიდგან“ სწავლა-განათლებისა და ქალების მუშაობის შესახები ადგილი. გულ მოდგინებით უგდებდა ხალხი ყურს. როდესაც გაათავა, ხალხმა ერთხმად გაიძახა: „შენი ჭირიმე, კნიაზო, რომ შენ აგრეთი ჩვენთვის გულდამწველი ბატონი და მასწავლებელი გაგვეზარდე, იცოცხლე, იცოცხლე მრავალ ჟამიერ!!.

შემდეგ მასწავლებელმა ხალხს გამოუცხადა, რომ სადამოზედ ბუნდოვანი სურათები უნდა გაჩვენოთ სკოლაში და იქ შეიკრიბენითო. მართლაც სადამოთი შეიკრიბა ხალხი და სამღთო წერილიდგან რამდენიმე სურათი აჩვენეს და თან აუხსნეს. ხალხმა დიდად ისიამოვნა. არც შობას დააკლეს აქ გული ბავშვებს: გაუმართეს საშობო ხე და ათასნაირი სათამაშო და სკოლის ნივთები დაურიგეს. ამასთანავე დაურიგეს 90 მოსწავლეს თითო სახალათე და საკაბე.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ ქეთევან და ზაქარია ჯავახიშვილებს და იმათ თანამგრძნობლებს ამ კეთილის საქმისათვის. სამწუხაროა მხოლოდ, წიგნები ძლიერ ცოტა აქვთ, თუმცა მკითხველი ბევრია, ასე რომ თითო თითო ეგზემპლიარი რომ მიაწოდონ გამომცემლებმა და სხვათ, დიდის მადლობის ღირსნი იქნებიან. წიგნების გაგზავნა ამ ადრესით შეიძლება: სად. გრაკალზედ სოფ. ხოვლეში. ქეთევან გიორგის ასულს კნიაჟნა ჯავახოვს.

ვანო

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Русскій Листокъ“-ის მეორე ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო შენიშვნა ამ გაზეთის თანამშრომლის „რუსლან“-ისა განსვენებულ რუსეთის საერო განათლების მინისტრად ნამყოფ გრაფის ი. დ. დელიანოვის შესახებ. აი, სხვათა შორის, რასა სწერს იგი:

იშვიათის კეთილის ხასიათისა იყო გრაფი ი. დ. დელიანოვი და ყველასა ჰხიბლავდა თავისის სადა ქცევით და კეთილის გულით.

თუმცა შთამომავლობით სომეხი იყო, მაგრამ სომეხი პატრიოტი არამც თუ არასოდეს არა ყოფილა, არამედ არც-კი სწყალობდა თავისს მამულეთ. იმ დროს, როდესაც „გული ჰპატრონობდა“ და დიდად ლიბერალი და გავლენიანი გაზეთი „Голосъ“-ი ხმა მაღლა გასძახოდა კლასიკურს ფრაზას: „ex oriente lux“ (ნათელი აღმოსავლეთიდგან მოდისო),—ი. დ. დელიანოვმა დიდად გამოცა და სთქვა მრავლად თავშეკრებილ საზოგადოების წინაშე სახსოვარი სიტყვები: „სომხობა ჩვენი ბოროტიაო“...

შემდეგ, როდესაც განსვენებული მინისტრად იქმნა დანიშნული და გაზეთში განვიმეორე ეს იმისაგან გაგონილი სიტყვები,—იმას არამც თუ ამის გამო უკმაყოფილება არ გამოუცხადებია, პირ-იქით, სთქვა, რომ მე ყოველთვის მაგ აზრისა ვიყავიო. ეს ამბავი მოხდა ამას წინად სომეხთა მოძრაობის დროს, რომელსაც გრაფი დელიანოვი სრულიად არ თანაუგრძნობდაო.

# რუსეთი

—

პეტერბურგის ტყეების მცველი საზოგადოება შუამდგომლობს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ ნება მოგვეცით 1898 წ. აგვისტოს მთელის რუსეთის ტყის მეურნეთა კრება გავმართოთ ქ. სამარაშიო.

— უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს გადაათვალიეროს და ხელ-ახლად შეიმუშაოს აწ არსებული წესდება სახელოსნო მრეწველობისა.

— მომავალ აგვისტოს 15 ქ. კიევში მე-XI საარქეოლოგიო კრება იქმნება გამართული. კრებასთან ერთად უნივერსიტეტის შენობაში საარქეოლოგიო, საისტორიო-საგეოგრაფიო საგნებისა, ძველ ხელთ-ნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების გამოფენაც გაიმართება.

— სასოფლო-სამეურნეო საბჭოს მეოთხე სესსია მოწვეულ იქმნება თებერვლის გასულს. სესსიამ უნდა განიხილოს პროექტები: რუსეთში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებისა, საუკეთესო სამეურნეო საგნების დაჯილდოვებისა და სამელიორატიო კრედიტის მოქმედების წესების გაფართოვების შესახებ.

## ბიბლიოგრაფია

„ისტორია მსოფლიო ლიტერატურისა. ალექსანდრე ბაუმგარტნერისა. I ტომი, 2 გამოცემა, ფრეინბურგი 1897 წელსა“.

სახელ-განთქმულმა გერმანელ სწავლულმა და ორიენტალისტმა ა. ბაუმგარტნერმა დაბეჭდა და გამოსცა პირველი ორი ტომი თავისის თხზულებისა, რომელსაც ჰქვიან „მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“ და რომელიც შესდგება ექვსის დიდის ტომისაგან, თვითო 600—700 გვერდი.

პირველი ტომი იკვლევს დასავლეთ-აზიის ერთა ლიტერატურას და მეორე ინდოეთისას და აღმოსავლეთ აზიისას. თუმცა საისტორიო-ლიტერატურის თხზულებანი ბევრია და ამგვარის ნაწერებით მდიდარია გერმანია, მაგრამ ეს ორი ტომი ბაუმგარტნერის თხზულებისა ისე სწრაფად დაიტაცეს გერმანიაში, რომ საჭიროდ გახდა მეორედ გამოცემა. გერმანულმა და უცხოეთის კრიტიკამ დიდის ქებით მიიღო ეს ახალი თხზულება ბაუმგარტნერისა. ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ „ძალიან იშვიათად შეხვდებით, რომ ერთსა და იმავე მწერალში იპოვებოდეს ასეთი ღრმად ცოდნა საგნისა, ასე ნათლად და მართლად გაგება უცხოთა ერთა სულისა და გულისა, ასეთი პოეტური გრძნობა, ასეთი პირ-უთვნელი სჯა და ასეთი „საერთო კაცობრიული სწავლულობაო“.

პირველ ტომში სხვათა შორის მოქცეულია საქართველოს ლიტერატურაცა და მთელი თორმეტი გვერდი უჭირავს. გერმანულ „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიებში“ არც ერთგან ესე მართლად და კეთილ სინიდისიერად გამოკვლეული არ არის ქართველთა ლიტერატურა, როგორც ამ ბაუმგარტნერის თხზულებაში. მოთხრობა საქართველოს ლიტერატურაზედ იულიოს ჰარტისა (მსოფლიო ისტორია. იულიუს ჰარტი 1897 წ.) ბაუმგარტნერის თხზულებასთან სახსენებელიც არ არის, რადგანაც წარმოადგენს უცოდინარის ტიტინსა.

ბაუმგარტნერს ყველაზე უწინარეს მოჰყავს სხვა მეცნიერთა აზრი ქართულის ენის შთამომავლობის შესახებ და შემდეგ ამბობს: „ქვეყანა უდიდებულესი მთებისა, რომლის მწვერვალნი აღემატებიან ალპიის მთებს, იმისი მედიდური მყინვარნი, იმისი მშვენიერი ტყეები და მინდვრები, რომანტიული სიკეკლუცე პატარა ველებისა, რომელიც მოფენილია მდიდარ მდელოებით და ვენახებით, ქალაქების გარემონი, მორთულნი წალკოტებითა, ძველის ციხეებითა და მონასტრებითა, მრავალფერი სიმდიდრე მცენარეობისა, ღონე, სიტურფე და ვაჟკაცობა იქაურ მკვიდრთა—ყოველივე ეს არამც თუ აღწერილია უცხოთა მგზავრთაგან, არამედ ნაგალობებია ქართველთა პოეტთა ზეგარდამოშთაგონებითა. მათთვის საქართველო ყველა სხვა ქვეყანაზე ტურფა ქვეყანაა“.

აქ ავტორს მთლად მოჰყავს ქება საქართველოსი თ. გ. ორბელიანისა, ბ-ნ ლეისტის მიერ ნათარგმნი.

ამის შემდეგ ბაუმგარტნერი მოგვითხრობს ისტორიას ქართულის ლიტერატურისას და მეტად ლამაზად და სისწორით აღნიშნავს დასაწყისს ქართველთა სიტყვიერებისას.

შოთა რუსთაველზე კარგა გძლად ჰლაპარაკობს და მოჰყავს რამდენიმე ადგილი „ვეფხვის ტყაოსნიდამ“. აღწერას როსტევანისა და ავთანდილის ნადირობისას ავტორი დიდის ქებით იხსენიებს, უბრწყინვალესი რამ არისო და ბოლოს დასძენს: „ვთქვათ, ეს ზოგჯერ გულ-უბრყვილო ამბები მოთხრობილია შიგა-დაშიგ გადაჭარბებით განდიდებულად, როგორც აღმოსავლეთელებმა იციან, ხოლო მთელი „ვეფხვის-ტყაოსანი“ დიდებული რამ არის. დიდის განსჯით მოფიქრებული და მრავალმნიშვნელოვანი ეროვნული ბეჭედი აზის. სიტყვა მისი თითქმის ყველგან მარტივია და ბუნებრივი, ენა მდიდარია და ლამაზიო“.

შემდეგი ხანა ქართველთა ლიტერატურისა საკმაოდ მართლად და საბუთიანად გამოკვლეული აქვს ავტორსა. ხოლო რადგანაც თარგმანები ხელთ არა ჰქონია, არავითარს კრიტიკულ შენიშვნას არ ამბობს. იგი ასახელებს რამდენსამე გამოჩენილს პოეტს, რომელთა ნაწერებისა თითო-ოროლა თარგმანი ჰქონია და ბოლოს ამბობს: „ქართველთა ლირიკა მდიდარია და მშვენიერი განვითარებული ფორმა აქვს. ეროტიული ლირიკა უფრო სჭარბობს, ჩემის ფიქრითა. დიდს ეპოსამდე ახალი ქართული პოეზია ჯერ არ მისულაო“.

## ნარევი

—

ერთ მეწადესთან ორი კინტო მივიდა და წადები გადმოაღებინეს. ერთმა წადები ჩაიცვა, მეორემ თავში ჩაარტყა და უთხრა: „შე, ოხერო, არ გითხარი, არ გამოგადგება-მეთქიო?“ და გაიქცა. წადებიანს ვითომ თავში ჩარტყმა ეწყინა და გამოუდგა გაქცეულს მუქარით. მეწადემ უყურა—უყურა და უკანიდგან მიაძახა გაქცეულს:

— ჭაი, თუ დაგეწია, დედას გიტირებსო!..

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს მოცლილს კაცს გამოუანგარიშნია, რამდენი სპიჩკა იხარჯება ყოველ დღე მთელს ევროპაში. ევროპის ყველა სახელმწიფოში დღეში ორი მილიარდი სპიჩკა იხარჯებაო, ამბობს ეს სტატისტიკოსი. ეს იზამს დღეში 12,500 ფუთს. თითოეული კაცი ყველაზედ ბერს გერმანიაში სწვავს თურმე სპიჩკას (თითო კაცი—12 სპიჩკას), ბელგიაში—თითო კაცი დღეში ცხრა სპიჩკასა სწვავს, ინგლისში—რვას და საფრანგეთში ექვსს.

* * *

ამ ბოლოს დროს თითქმის ელექტრონისა და გაზის სინათლეს ეგრედ წოდებულმა აცეტილინმა აჯობოს. გერმანიის ერთს ქალაქში, რომელსაც სახელად ტოტისი ეწოდება, ყველა ქუჩები აცეტილინით გაანათეს იმ დღისთვის, როდესაც იქ მივიდა გერმანიის იმპერატორი. გაზეთები სწერენ, რომ აცეტილინით განათებული ქალაქი მშვენიერი სანახავი იყოვო. თურმე ქალაქ ტოტისში უმთავრესი ქუჩები, მაღაზიები და დუქნები ამავე აცეტილინით არის განათებული. ამ საქმის მცოდნენი ამტკიცებენ, რომ აცეტილინის განათება უკეთესია ელექტრონისა და სხვა განათებაზეო.

* * *

რენტგენის სინათლე ერთს მდიდარს კაცს გამოადგა მიუნხენში. ამ კაცს უყიდნია ერთი სურათი გამოჩენილის მხატვარის ალბერტ დიურერისა. ზოგმა სთქვა, ეს სურათი დიურერისა არ არისო. მაშინ სურათის პატრონმა მიიწვია მცოდნე კაცები და სურათი რენტგენის სინათლეს შემწეობით გასინჯეს. მაშინ სურათზე გამოჩნდა დაწერილი სახელი ალბერტ დიურერისა და წელიწადიც (1521). გარდა ამისა გამოჩნდა ლათინური ზედ-წარწერა. თუ რენტგენის სინათლით არა, ისე ამ ზედ-წარწერას ვერას გზით ვერავინ წაიკითხავდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 იანვარი

**მოსკოვი.** სოლოდოვნიკოვის საოპერო თეატრში გაჩენილ ცეცხლისაგან ობერ-პოლიცმეისტერი ბ-ნი ტრეპოვიც დაშავდა. ტრეპოვს პირისახე აქვს დაშავებული.

**პარიჟი.** პალატა საზღვაო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა. ლოკრუამ ფლოტის ყოფა-მდგომარეობის შესახებ აღძრა ლაპარაკი. ლოკრუამ, სხვათა შორის, სთქვა, რომ ყველა სახელმწიფო სცდილობს ფლოტი როგორმე გაამრავლოს და საფრანგეთის საკოლონიალო ფლოტი-კი მხოლოდ ფიცრის გემებისაგან შესდგება. გერმანია გაფაციცებით შეუდგა ხომალდებით გაძლიერების საქმის განხორციელებას. გერმანიის ხომალდი სწრაფად მოსიარულეა და ჯაფის ამტანი. თუ ომი მოხდა, გერმანიას ლამანშში შეუძლიან 15 გემი გაჰგზავნოს. ლოკრუამ მოიხსენია რაის გარემოება, რომ ცოტა ნავთ-სადგურები გვაქვს გემების თავ შესაფარებლადა და შესაკეთებლადაო, სთქვა, ხმელთა-შუა ზღვაში საფრანგეთს მხოლოდ ტულონის ნავთ-სადგური აქვსო. საფრანგეთის გემები ვერაფრით გაიმართავენ ხელს ბიზერტში. თუ საფრანგეთმა ბიზერტი დაჰკარგა, ალჟირის ადგილ-მამულის საქმეს სახელი გაუტყდება. კარგი იქმნება გიბრალტარის პირდაპირ ნავთ სადგური იქმნას დაარსებული და ნაღმიან გემების ფლოტილია იდგეს, რომ საჭიროების დროს ნება არ მივცეთ ინგლისის გემებს ხმელთა შუა ზღვაში შემოსვლისა. საფრანგეთის ფლოტი ჰკოჭლობს იმითი, რომ გემებს არ შეუძლიანთ ჩქარა იარონ, რადგან სხვა-და-სხვა გვარად არის შეიარაღებული და სიმაგრესაც მოკლებულია. ლოკრუამ დაღალვის გამო სიტყვის დასრულება ხვალისთვის გადასდო. კრება დაიშალა.

11 იანვარი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ოდესის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სახაროვი იქმნება მთავარ შტაბის უფროსად.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას შეუერთებენ რუსეთის რკინის გზებს ორ ადგილას.

**ვენა.** აქაურ უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლის სტუდენტებმა ხმაურობა ასტეხეს და ლექციების კითხვას უშლიდნენ. ნემეცების უმაღლეს სკოლაში, ქალაქ პრაგაში ლექციების დროს დიდი ხმაურობა ასტყდა. ხმა დადის, რომ ინსბურგში სტუდენტები გაიფიცნენო.


# განცხადებანი

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებსა სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარს და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. რუხაძე.

(წ.)

ТОВАРИЩЕСТВО

Брокаръ и Ко.

ИЗОБРѢТАТЕЛИ

ГЛИЦЕРИНОВОЙ

ПУДРЫ.

СРЕДСТВО

ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.



Коробка съ пуховк. 80 к.

Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ8)



# „ივერია“

1898 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 | 5 „ | 5 „ 50 |
| 10 „ | 8 „ 75 | 4 „ | 4 „ 75 |
| 9 „ | 8 „ — | 3 „ | 3 „ 50 |
| 8 „ | 7 „ 25 | 2 „ | 2 „ 75 |
| 7 „ | 6 „ 50 | 1 „ | 1 „ 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე, - ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

## ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი — 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი — 30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე. 21.